**ხელშეკრულება№ 306**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**
***(სამუშაოს შესყიდვა)***

**_ქ. გორი** 28 09 **2012 წელი**

ერთის მხრივ, გორის მუნიციპალიტეტი (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის ზვიად ხმალაძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს „არქმშენსტუდია 2002" (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე მაკრახიძის სახით ვხელმძღვანელობთ რა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მესამე პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის №55 განკარგულებით გამოყოფილი სახსრებით ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები (CPVკოდი 45200000), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

**2.შესყიდვის ობიექტი**

2.1. შესყიდვის ობიექტია: ქ. გორში ზაზა გამგებლის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები თანდართული პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

**3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში–ლარებში.
3.2. შესასრულებელი სამუშაოების საერთო ღირებულებაა 17860 (ჩვიდმეტი ათას რვაას სამოცი) ლარი დ.ღ.გ-ს ჩათვლით.

**4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს

**5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები.**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღე.
5.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ გორი ზაზა გამგებლის ქუჩა.

**6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

**7 ანგარიშსწორება და ვალუტა**

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული სამუშაოებისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი სახსრების შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულებული სამუშაოების) აქტი, ფორმა№2 და საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, რის შემდეგაც ანგარიშსწორება მოხდება არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

ხელშეკრულ
სახელმწიფო შესყიდვ
(სამუშაოს შესყიდვა)
28 09 2012 წელი
წარმოდგენილი
შ.პ.ს

*8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
8.3. შემსყიდველი ვალდებულია:
- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ.
- წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს დეფექტურ აქტში აუსახავი წუნის აღმოჩენის შესახებ.
-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
-გადაუხდელობის შემთხვევაში მოსთხოვოს ანაზღაურება ყველა საჯარიმო სანქციით გამოწვეული ზარალისა სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისას.
8.5. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღეში.
- სამუშაოების დასრულებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს აღდგენითი სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

*9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,3 % ის ოდენობით.

**10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

**11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

11.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე იმ შემთხვევებში, რომლებიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-12 მუხლში.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ურთიერთშორის მოლაპარაკებისას ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ხოლო მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ან სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესრულებული სამუშაოების ხარისხის ინსპექტირება.
14.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით შემსყიდველ ორგანიზაცია შექმნის ინსპექტირების ჯგუფს.
14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 15. სუბკონტრაქტორები

15.1. მიმწოდებელმა უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები.
15.2.მესამე მხარეების მიერ მიმწოდებლის წინააღმდეგ სარჩელების წამოყენების და სასამართლო პროცედურების დაწყების შემთხვევაში, შემსყიდველს მათთან დაკავშირებით არ ეკისრება არანაირი ფინანსური პასუხისმგებლობა.

## 16. სხვა პირობები

16..1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

**შემსყიდველი**

გორის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. გორი სტალინის გამზ № 16
საბანკო რეკვიზიტები
ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ს
შიდა ქართლის რეგ ფილიალი
ბ/კოდი LBRTGE22
ა/ა GE14LB0120131879389002
ს/კოდი 218065910

---

გორის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის
თავჯდომარე

ზვიად ხმალაძე

**მიმწოდებელი**

შ.პ.ს „ არქმშენსტუდია 2002"
მის: ქ გორი გურამიშვილის ქ №14
საბანკო რეკვიზიტები
„ პროკრედიტ ბანკი"
გორის ფილიალი
ბ/კოდი MIBGGE22
ა/ა GE80PC0143600100018853
ს/კოდი 218020914

---

შ.პ.ს „ არქმშენსტუდია 2002 "-ის
დირექტორი

ალექსანდრე მაკრახიძე

ქ. გორში ზაზა გამგებლის ქუჩის რეაბილიტაცია ტროტუარების ჩათვლით

მოცულობათა უწყისი

| № | სამუშაოს დასახელება | განზომილება | რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | I მოსამზადებელი სამუშაოები | | | |
| 1 | ტრასის აღდგენა და დამაგრება | კმ | 0.083 | |
| 2 | არსებული ჭების ამოწევა საპროექტო ნიშნულებამდე | ც | 5 | |
| | II მიწის ვაკისი | | | |
| 1 | დანგრეული ასფალტბეტონის და საფუძვლის მოჭრა ბულდოზერით სისქით 10სმ | $მ^3$ | 60 | |
| 2 | III კატეგორიის გრუნტის მოჭრა ხელით ტროტუარზე და ბორდიურის ქვეშ | $მ^3$ | 19 | |
| 3 | მოჭრილი გრუნტის დატვირთვა ექსკავატორით ავტოთვითმცლელებზე და გადაადგილება 5 კმ მანძილზე ნაყარში | $მ^3$ | 79 | |
| | III საგზაო სამოსი | | | |
| 1 | საფუძვლის მოწყობა ფრაქციული ღორღით სისქით 8 სმ სავალ ნაწილზე და ტროტუარზე | $მ^3$ | 50 | |
| 2 | თხევადი ბიტუმის მოსხმა 0.0006ტ/მ2 | ტ | 0.297 | |
| 3 | ერთფენიანი საფარის მოწყობა მოედანზე წვრილმარცვლოვანი, მკვრივი, ღორღოვანი ასფალტბეტონის ცხელი ნარევით „ტიპი ბ“ მარკა II სისქით 5 სმ | $მ^2$ | 395 | |
| 4 | ბორდიურის ჩასამაგრებელი ბეტონი მ-200 | $მ^3$ | 2.09 | |
| 5 | ბეტონის ბორდიურის შეძენა, მოტანა, დადება, ზომით 30X15 | გრძ.მ | 116 | |
| 6 | საფარის მოწყობა ტროტუარზე წვრილმარცვლოვანი, მკვრივი, ღორღოვანი ასფალტბეტონის ცხელი ნარევით „ტიპი ბ“ მარკა II სისქით 3 სმ | $მ^2$ | 100 | |

შეადგინა: ჯ. საძაგლიშვილი

ქ. ბორჯომში ბაბა გაბელაის ქუჩის რეაბილიტაცია ტროტუარების ხაზვლით

ხარჯთაღრიცხვა

| № | სამუშაოს დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთ. ფასი | მთლ. ფასი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| | I მოსამზადებელი სამუშაოები | | | | |
| 1 | ტრასის აღდგენა და დამაგრება | კმ | 0.083 | 150 | 12.45 |
| 2 | არსებული ჭების ამოწევა საპროექტო ნიშნულებამდე | ც | 5 | 80 | 400 |
| | II მიწის ვაკისი | | | | |
| 1 | დანგრეული ასფალტბეტონის და საფუძვლის მოჭრა ბულდოზერით სისქით 10სმ | $მ^3$ | 60 | 1.8 | 108 |
| 2 | III კატეგორიის გრუნტის მოჭრა ხელით ტროტუარზე და ბორდიურის ქვეშ | $მ^3$ | 19 | 7.8 | 148.2 |
| 3 | მოჭრილი გრუნტის დატვირთვა ექსკავატორით ავტოთვითმცლელებზე და გადაადგილება 5 კმ მანძილზე ნაყარში | $მ^3$ | 79 | 4.42 | 349.18 |
| | III საგზაო სამოსი | | | | |
| 1 | საფუძვლის მოწყობა ფრაქციული ღორღით სისქით 8 სმ სავალ ნაწილზე და ტროტუარზე | $მ^3$ | 50 | 23.34 | 1167 |
| 2 | თხევადი ბიტუმის მოსხმა 0.0006ტ/მ2 | ტ | 0.297 | 1195.00 | 354.915 |
| 3 | ერთფენიანი საფარის მოწყობა მოედანზე წვრილმარცვლოვანი, მკვრივი, ღორღოვანი ასფალტბეტონის ცხელი ნარევით „ტიპი ბ“ მარკა II სისქით 5 სმ | $მ^2$ | 395 | 17.80 | 7031 |
| 4 | ბორდიურის ჩასამაგრებელი ბეტონი მ-200 | $მ^3$ | 2.09 | 160.00 | 334.4 |
| 5 | ბეტონის ბორდიურის შეძენა, მოტანა, დადება, ზომით 30X15 | გრძ.მ | 116 | 16.10 | 1867.6 |
| 6 | საფარის მოწყობა ტროტუარზე წვრილმარცვლოვანი, მკვრივი, ღორღოვანი ასფალტბეტონის ცხელი ნარევით „ტიპი ბ“ მარკა II სისქით 3 სმ | $მ^2$ | 100 | 10.63 | 1063 |
| | ჯამი | | | | 12836 |
| | ზედნადები ხარჯები 8% | | | | 1027 |
| | ჯამი | | | | 13863 |
| | გეგმიური დაგროვება 6% | | | | 832 |
| | ჯამი | | | | 14694 |
| | გაუთვალისწინებელი ხარჯები 3% | | | | 441 |
| | ჯამი | | | | 15135 |
| | დ.ღ.გ. 18% | | | | 2724 |
| | ჯამი | | | | 17860 |

ნილი
შ.პ.ს
ორის
ახებ
ხმად

ულებით
ამდებარე
ევებული

ითული

ოცი)

ი)

შეადგინა: ჯ. საძაგლიშვილი